№ 135

ოთხშაბათი, 28 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 135

ოთხშაბათი, 28 ივნისი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**„ივერიის" რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ახალი ამბავი

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ."-ი ამბობს, ტფილისის გუბერნიაში სათავადო-მამულო გარდასახადთა განაწილება ჯერ არ დასრულებულა და არ გადაწყვეტილაო.

*** ტფილისის გუბერნიის სამმართველოს მოუვიდა განსახილველად შუამდგომლობა კავკასიის სამთო გამგეობისა, რომ გზატკეცილი მიხაილოვსა და ბორჯომს შუა, სიგრძით 8 ვერსი, ამ განყოფილების ადმინისტრაციის გადაეცეს საზრუნავადაო.

*** ამ დღეებში დაქცეულ ტყავის ქარხნის პატრონ თავ. სუმბათაშვილებზედ ხუთასის თუმნის საჩივარი შეიტანა ქვრივმა ერთის ქარხანაში მომუშავე ხელოსნისამ, რომელიც დაქცევის დროს შიგ მოჰყვა. ამ ხელოსანს ექვსი შვილი დარჩენია.

*** აგარაკ აბასთუმანში მდ. აბასთუმნის ნაპირზედ ხაზინა თავისის ხარჯით ხის ქარხნის გამართვას აპირებს.

*** შემახის მაზრაში, ბაქოს გუბერნიაში, ნადვორნი სოვეტნიკს ზაფოფანკოს აღმოუჩენია გლაუბერის მარილი და სთხოვს სამთო გამგეობას, მიეცეს ნება ზემოხსენებულის ადგილების გამოკვლევისა. გამგეობას სამთო დეპარტამენტის შუამდგომლობით უთხოვნია სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის, რომ შეწყნარებულ იქმნას ზაფოფანკოს თხოვნა.

*** ყარსის ოლქში, სოფელ სუსუს ახლოს, აღმოუჩენიათ ქვის ნახშირი, და კავკასიის სამთო გამგეობაში შეუტანიათ თხოვნა, რათა ზემოხსენებულ ადგილების გამოკვლევის ნება მიეცეთ.

*** ჟურნალ „რუსკ. მისლ."-ის უკანასკნელს (ივნისის) ნომერში დასტამბულია წერილი ჩვენის ცნობილის სწავლულის ალ. ხახანაშვილისა „თანამედროვე ქართულ ლიტერატურის ისტორიიდგან. თავ. ი. გ. ჭავჭავაძე."

### ქალაქის საბჭო.

26 ივნისი.

26 ივნისს საღამოს უკანასკნელი კრება მოხდა საბჭოსი, რომელზედაც ძლივს შეიკრიბა კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა. კრების დაწყებისათანავე ზოგიერთი ხმოსნები შეეკითხნენ გამგეობას, მიზეზი ვინ იყო ტყავების ქარხნების დაქცევისა და ამ საქმეში ქალაქს რა დამოკიდებულება აქვსო. ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ორბელიანი-დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ მეექვსე განყოფილების ბოქაულმა შარშან ოქტომბრის თვეში მოსწერა გამგეობას, რომ სუმბათაშვილის შენობა, რომელიც ვარანცოვის ქუჩაზედ იმყოფება და რომელშიაც დაბღები მუშაობენო, ძალიან ძველია, დაზიანებულია და შიში გვაქვს მისის დაქცევისაო. ამის გამო ქალაქის გამგეობამ თავისი ხუროთ მოძღვარი გაჰგზავნა ამ შენობის გასასინჯავად და მართლაც ამ გასინჯვამ გამოარკვია, რომ შენობა ძალიან ძველი ყოფილა და მისი შეკეთება ყოვლად საჭირო. ამის შესახებ ჩვენ ოფიციალურად მიწერ მოწერა გავმართეთ. ამასობაში თ. სუმბათაშვილი მოვიდა და ნება-რთვა აიღო შენობის შეკეთებისა. მიწერ-მოწერიდგან-კი გამოირკვა, რომ დაბღების ქარხანა იმ ქარხანათა რიგს ეკუთვნის, რომლის შეკეთება და აგება გუბერნიის ადმინისტრაციის უწყებაში იმყოფება და არა ქალაქის თვით მმართველობის უწყებაშიო.

შემდეგ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ა. ა. ივანენკომ განუცხადა საბჭოს, რომ სამინისტრომ არ დაამტკიცა ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტი ქალაქის ლომბარდისა და ამისი უმთავრესი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ჩვენს პროექტში ძირეული თანხა 68,000 მან. აღნიშნული. სამინისტრომ გუბერნატორის ხელით გამოგვიგზავნა ვოლოგდის ლომბარდის წესდება, უკვე დამტკიცებული, რომელშიაც ძირეული თანხა 147,000 მან. ამის გამო ქალაქის გამგეობა იმ აზრისაა, რომ ჩვენი პროექტიც ვოლოგდის წესდების თანახმად შეკეთდეს, თანხად 147,000 მან. დაიდოს და ისე წარედგინოს სამინისტროს დასამტკიცებლადაო. საბჭომ ეს აზრი გამგეობისა მოიწონა.

საბჭოს მოისმინა წინადადება ხმოსანის პ. იაკიმოვისა, რომ ქალაქის გამსესხებელს კასსაში მოწვეულ იქმნეს კასსირების ამხანაგობის რომელიმე წევრი. ამ წევრს ჩაჰბარდება კასსა, ნივთების საწყობი და ამხანაგობა იქმნება პასუხის-მგებელი, თუ დაიკარგა რამეო. მე თვით ლაპარაკი მქონდაო, სწერს თავისს განცხადებაში ხმოსანი იაკიმოვი, ამ პეტერბურგის ამხანაგობის ერთ წარმომადგენელთან, რომელმაც მითხრა, რომ წელიწადში 200 მან. შეგვიძლიანთ ჩვენის ამხანაგობიდგან მოიწვიოთ ვინმე, იმ პირობით-კი რომ ორი ასასი მოიწვიოს მანვე თითო 18 მან. თვეშიო.

ხმ. ითინესიანი. როდესაც მაგისთანა საქმე ირჩევა, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობის რომელსამე დაწესებულებას შეეხება, მაშინ ყოველთვის წესად უნდა იყოს დადებული ჯერ იმ დაწესებულებას ეკითხოს აზრი ამ საქმის გამო. ასე რომ როდესაც ეგ აზრი დაიბადა, ჯერ უნდა შეჰკითხებოდით გამსესხებელ კასსის დირექტორს. ესეც არ იყოს, ჩვენ კასსირი გვყავს და არ გვესმის, მაგ ამხანაგობის წევრმა რაღა უნდა გააკეთოს? ტფილისში ბევრი საბანკო დაწესებულებანია, სადაც ფული საკმაოდ ბლომად იმყოფება, მაგრამ არსად ამხანაგობის წევრი არა ჰყავთ პეტერბურგიდგან მოწვეული, რომ ზნეობრივი პასუხის-გება აწინდელის კასსირებისა ამხანაგობის წევრის ქონებრივ პასუხის-გებით შესცვალონ.

მცირეოდენ კამათის შემდეგ ეს საქმე გადაიდო სექტემბრის თვისათვის და გამგეობას დაევალა ცნობები შეჰკრიბოს, როგორ არის მოწყობილი ასეთი საქმე რუსეთის სხვა ქალაქებში. შემდეგ ა. ფ. ფრიდონოვი აღმორჩეულ იქმნა ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენლად იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილის-ყარსის რკინის გზისათვის საჭირო მამულების გადაცემა კომისიაში, რადგან ეს გზა ქალაქის მიწის ერთს ნაწილზედაც გადის და ეს ნაჭერი მიწისა უნდა შეისყიდოს რკინის გზამ. ამას გარდა, ქალაქის გამგეობის თხოვნისამებრ, საბჭომ ნება დართო 100 მან. გადასდონ და ექიმი ქალი მოიწვიონ ქ-ნ ისაკოვის ნაცვლად, რომელიც ორის თვით დათხოვნილია.

ქალაქის მოურავის თანამდ. აღმასრულებელმა აუწყა საბჭოს, რომ მართლ მადიდებელ სამღვდელოების წარმომადგენლად ქალაქის საბჭოში, საქალაქო დებულების თანახმად, მღვდელი ცინცაძეა დანიშნულიო. საბჭომ დაადგინა მიღებულ იქნას მღვდელი ცინცაძე ხმოსანთა შორის.

დასასრულ ყველა საქმეები გადაიდო სექტემბრის თვისათვის და განხილულ იქმნა მხოლოდ ბელგიის ინჟენერის ლინდლეის წინადადება. როგორც ვუწყით, ლინდლეი მოწვეული იყო ქალაქში არხების გაყვანის პროექტისათვის. ბ-ნი ლინდლეი იყო ქალაქში, გასინჯა, შეადგინა პროექტი არხებისა, მხოლოდ ამასთან ის აზრი გამოსთქვა, რომ კარგი იქმნე-

## ფელეტონი

### რა ახლო იყო ბედნიერება!

ამბავი.

(დასასრული *).

ერთს მშვენიერს დღეს მართას ესტუმრა მეზობელი, რომელსაც მახლობელ რკინის გზის სადგურზედ ბუფეტი ეჭირა და უთხრა, ერთს ინჟენერს ჰსურს ჩვენებური ახალგაზდა ცოცხალი ბიჭი აიყვანოს მოსამსახურეთ და თუ შენც თანახმა გახდები, დათიკოს გავურიგებ იმ ადგილსაო; ძალიან კეთილი კაცია, დიდი ალაგი უჭირავს რკინის გზაზედ და კაცად გამოიყვანსო. უპატრონომ, სიღარიბისაგან წელ-მოწყვეტილმა მართამ ღვთის წყალობად ჩასთვალა ეს ამბავი, მადლობა უთხრა მეზობელს და თანხმობა განაცხადა. რამდენისამე დღის უკან დათიკო ინჟენერთან დადგა მოსამსახურეთ და გულმოდგინედ შეუდგა თავისს ახალის მოვალეობის ასრულებას.

ინჟენერი მართლაც ერთობ გულკეთილი და ღვთის-ნიერი ადამიანი იყო, და ისე შეიყვარა და შეითვისა მკვირცხლის გონებისა და შრომის მოყვარე ახალგაზდა ბიჭი, როგორც საკუთარი შვილი. ექვსი წელი დაჰყო დათიკომ მასთან, ჩინებულად ისწავლა მისის შემწეობით რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა, და ბოლოს იმისვე დახმარებით უმცროს კონდუქტორის ადგილი იშოვა საქონლის მატარებელზედ. ღმერთო ჩემო, რა საუცხოვო ადამიანი იყო ის დალოცვილიშვილი! რუსეთში რომ არ გადაეყვანათ, ახლა დათიკო დიდის ხნით ობერ-კონდუქტორად იქნებოდა, და... მაშინ ვეღარც ანიკოს მამა ეტყოდა უარს, არაფერი გაბადია და ქალს ვერ მოგცემო... „მაგრამ არა უშავს-რა! კიდევ ცოტა მოთმინება, დათიკო უგვაროშვილო, და შენი დაუცხრომელი გულის წადილიც მალე ასრულდება"...—ფიქრობდა ახალგაზდა კონდუქტორი, ვაგონის თავზედ წამოსკუპული.—„უფროსი, რომელმაც სამართლიანად დააფასა ჩემი სინიდისიერი სამსახური, მხოლოდ მეტრიკის* მიღებას უცდის, რომ მაშინვე დაპირებული ადგილი მომცეს. დღეს უთუოდ უნდა მივიღო რამე ამბავი დედისაგან ს—ის სადგურის უფროსის სახელზედ...

როცა „ობერის" ფორმაში გამოჭიმული მივალ ანიკოს მამასთან და ვეტყვი: „ბატონო, კაი ხანია, რაც მე და თქვენს ქალს ერთმანეთი გვიყვარს, და ახლა მაინც დაგვლოცეთ მეთქი", ის გახარებული გადამეხვევა და მომიგებს: „დამილოცნიხარ, შვილო, წაიყვანე ჩემი გოგონა და იყავი იმისი პატრონი და მფარველიო"!..

ახალგაზდა კაცს ცხოვლად დაუდგა თვალ-წინ სურათი მომავალ ბედნიერებისა: აი ის დაიწერს ჯვარს ანიკოზედ და იმ დღესვე წაიყვანს შინ; საბრალო დედა სიხარულით ცას დაეწევა; ისინი იოჯახებენ, სახლკარს გამართავენ, თითონ-კი გარეთ იშრომებს და ორიოდე გროშს, რომელსაც-კი იშოვის, ოჯახს და ცოლშვილს მოახმარს... ნელ-ნელა, შეუმჩნევლად აშენდება ბოგანო კაცის საიმედო თავ-შესაფარი, გაჩაღდება ცეცხლი სანახევროდ ჩამქრალ კერაზედ მტრების გულ-მოსაკლავად და მოკეთეთა სასიხარულოდ...

რასაკვირველია, დათიკო ქორწილსაც გადიხდის, სულ პატარა ქორწილს, მოიპატიჟებს ზოგიერთს მეზობლებს და ამხანაგებს, ხოლო იმათში ყველას კი არა: მაგალითად ის არ დაჰპატიჟებს ლევან ჟოლაძეს, რომელიც ამას წინად სულ უბრალოდ წაეჩხუბა და თავისის გესლიანის ენით „ბუში" დაუძახა.... ბუში? რად დაუძახა აგრე? იქნება მართლა ის უკანონო შვილი იყოს? იქნება.... და აი ისევ დაებადა დათიკოს სულის აღმაშფოთებელი ეჭვები, მოაგონდა ისევ სიმწარეში გატარებული ბავშვობა, ჯავრისა და შრომისაგან უდროოდ მოხუცებული დედა, ის ვიღაც „უცნობი კაცი", რომელმაც ერთხელ ისეთს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო დედა-მისი.... გაახსენდა აგრეთვე ამხანაგთა საიდუმლოებით მოცული ღიმილი და თვალის ქნევა, რომელიც არა ერთხელ შეუმჩნევია მათთვის—და რაღაც მძიმე სევდა გულზედ ლოდივით შემოაწვა და სული შეუხუთა...

მალად შთანთქმული ამ სევდით რამდენიმე წამს გაშტერებით და გარინდებით იჯდა თავის ალაგზედ, ვეღარაფერს ამჩნევდა, რაც მის გარეშემო ხდებოდა: გიჟურად მიჰქროდა მატარებელი ქალა-მინდვრებსა და ხიდებზედ, მაგრამ არც იმისი გამაყრუებელი გრიალი და არც მძიმე ხვნეშა არ სწვდებოდა ყმაწვილის კაცის სმენას; მისდა შეუმჩნევლად ერთი მეორეზედ ინთებოდნენ მოწმენდილს მუქ ცის ლაჟვარდზედ ურიცხვი ვარსკვლავთა გუნდნი; მიღმა მახლობელ მთის გაღმიდამ მთვარე ამოსვლას ეპირებოდა და დიდ მანძილზედ ალისფრად შეეღება ცის დასავალი, თითქოს შორს ცეცხლ-მოდებული უზარმაზარი ტყე შუქსა სცემსო; მატარებლის სწრაფის სრბოლით უკუქცეულ ჰაერს მოჰქონდა თან ქოჩფა სიგრილე, ათას-გვარ გაზაფხულის ყვავილთ თაფ-პრუ დამხვევი, გულის გამლაღებელი სურნელება... მაგრამ ვერაფერს ამას ვერ ამჩნევდა, თითქოს ყველა გარეგან შთაბეჭდილებათა შესავალი კარები დახურულ-დაგმანული ჰქონდეს...

უეცრად ჰაერში გაისმა ორთქლ-მავალის ხანგრძლივი ცხარე სტვენა... ამ ნაცნობ ხმის გაგონებაზედ ახალგაზდა კონდუქტორი შეკრთა, მოისვა ხელი გახურებულს შუბლზედ და ფეხზედ წამოდგა. იქ მიღმა, ნისლოვანს სიშორეში მისმა გამჭრიახე თვალებმა გაარჩია ოდნავ მბჟუტავი მოყვითანო წერტილი: ეს ს-ის სადგურის ფარანი იყო... ს-ის სადგური! ყმაწვილმა კაცმა თავისუფლად ამოისუნთქა, და სევდა მოწოლილს დამძიმებულს გულზედ ერთბაშად მოეშვა, თითქოს ზურგიდან ასი ფუთი ტვირთი ჩამოხსნესო... შორს ეჭვებო და შავო ფიქრებო! კიდევ

*) იხ. „ივერია" № 134.

ბოდა ჯერ რიგიანის ადგილიდგან წყალი იქმნას გამოყვანილი. წყლის გამოყვანა და მილის განკარგება იმდენად, რომ ქალაქს არაოდეს წყალი არ დააკლდეს, დიდად საჭიროა თვით არხებისათვისაო. მე გავსინჯე საგურამოსა და ბულაჩაურის წყაროები. ჩემის აზრით, ბულაჩაურში ვიპოვნით დედა-ძარღვს წყაროებისას, რომელიც არ იკლებს, როგორც ეხლა ავჭალის მილის წყალი კლებულობს ხოლმე, და საკმაო წყალს მოგვცემსო. თუ ამ ჩემს წინადადებაზედ თანახმაა ქალაქი, მაშინ შემოდგომაზედ ჩამოვალ, გეოლოგებს ჩამოვიყვან, გავსინჯავთ ქალაქის მიდამოებს და შევადგენ წყლის მილის პროექტსაო. ბ-ნი ლინდლეი ამ შრომისათვის თხოულობს 3,000 მან. ოქროთი და 1,500 მან. ოქროთი გზის ფულს. ამას გარდა, ადგილობრივ, რაც საქმეს ხარჯი დასჭირდება, ქალაქმა უნდა იკისროს.

ხმოს. ენფიანჯიანცი. არხების გაყვანა ქალაქს არავითარს შემოსავალს არ მისცემს. წყლის შემოსავალმა უნდა გაისტუმროს ის $4^{1}/_{2}$ მილიონი ხარჯი, რომელიც არხების გაყვანასა სჭირდება; ქალაქს რომ ულეველი წყალი ჰქონდეს და მართლა წყლის მილი გაფართოვდეს, წყლის ხარჯვა იმატებს და ადვილად შეგვიძლიან სესხად ავიღოთ ფული. წყლის მილის გაფართოვება დაჯდება $^{1}/_{2}$ მილიონი, არხები პროექტით უნდა დაჯდეს $4^{1}/_{2}$ მილიონი, სულ სესხად უნდა ავიღოთ 5 მილიონი. წყლის ხარჯვა იმდენად იმატებს, რომ თუ ერთმა ვედრო წყალმა წელიწადში 7 მან. შემოიტანა, ამ ხუთ მილიონ ვალს თამამად გავუძლვებით. ვედრო წყალი-კი წელიწადში 7 მან. ადვილად შემოიტანს, რადგა $^{1}/_{4}$ კაპ. ჰღირს თითო და 360 ვედრო-კი 9 მან. ეღირება.

საბჭომ შეიწყნარა ლინდლეის აზრი და გარდასწყვიტა მოწვეულ იქმნას იგი წყლის საქმის გამოსარკვევად.

კრება დაიშალა საღამოს 11 საათზედ.

## კახური სიმღერა-გალობანი და დირექტორი ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლისა ბ-ნი ნიკოლოზ სიმონის ძე კლენოვსკი.

4 ივნისს თელავში მოვიდა დირექტორი იმპერატორის ტფილისის განყოფილების მუსიკალურ სასწავლებლისა ბ-ნი ნიკოლოზ სიმონის ძე კლენოვსკი, რომლის მოსვლის აზრი იყო შეეკრიბნა კახეთში საერო და საეკკლესიო ხმები ნოტებზედ გადასაღებად. თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა, რომელთანაც დაბინავდა ბ. კლენოვსკი, წაიყვანა იგი რამდენსამე სოფელში, სადაც მისცა შემთხვევა მოესმინა საერო სიმღერები. ბ. კლენოვსკი სიამოვნებით ისმენდა სიმღერებს, მაგრამ გადაღებით-კი ვერა გადიღო-რა, რადგანაც მომღერლები ვერ ასრულებდნენ მისს მოთხოვნილებას. ამ მდგომარეობაში იყო იმისი საქმე ექვსი დღე. ათს ივნისს ბ. კლენოვსკი მიწვეული იყო თავადის ი. ზ. სახლში, სადაც უმღერეს იმას კახური „გრძელი მრავალ-ჟამიერი“ ქ. სოფიო ზარაფაშვილისამ და იმისმა დამ ბარბარე სულხანიშვილისამ, რომელთაც ნასწავლი აქვთ ქართული ხმები თვისის მამისაგან პატიკო სულხანიშვილისაგან, რომელიც ითვლებოდა და ითვლება კახეთ-ქიზიყის პირველ მომღერალთა რიცხვში. ბანს ეუბნებოდა თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი წიკლაური. შემდეგ მრავალჯერ გამეორებისა ჯერ ერთად სამ ხმაზედ, მერე მარტო პირველი ხმისა, შეიგნო ზომა კილოსი, გადიღო ნოტებზედ სამივე ხმა და იქავე თითონ იმღერა ნოტებზედ გადაღებული პირველი და მეორე ხმები. ისე სისრულით იყო გადაღებული, ისე შეუცვლელი იყო კილო და ხასიათი სიმღერისა, ისე იყო აღნიშნული ყოველივე განსაკუთრებითი თვისებანი ამ კილოსი, რომ ყველანი დიდად გაგვაკვირვა. რა-კი საქმე ასე დატრიალდა, ვსთხოვეთ, ყოველ დღე ეშრომნა და რა სიმღერებიც ამ ორმა დამ იცოდნენ გადაეღო ნოტებზედ. ბ-ნი კლენოვსკი დიდის გულმოდგინებით შეუდგა მუშაობას და სამს დღეში გადიღო ხსენებულ პირთაგან გარდა „გრძელის მრავალ ჟამიერისა“ შემდეგი სიმღერები: 1) „მუშური“, ის ხმა, როცა მუშა სეის გატანის შემდეგ ბრუნდება და როცა სვეზედ მიდის, ან ნამგალს ლესავს, ან „შინ—მინდვრიდგან სოფლად—ბრუნდება და მღერის; 2) „მაყრული“; 3) „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“. ეს ოთხივე სიმღერა ამ ორ დათ მამისაგან უსწავლიათ; 4) „ორი ოქროს დიელო“; 5) „თეთრო ბატო“ და 6) უფალო შეგვიწყალე. ეს უკანასკნელი სამი უსწავლიათ თავისის უფროსის ძმისაგან. რაკი ახლა სოფლად მუშაობა არის გაჩაღებული და სასურველს მომღერლებს ვერ მოვუყრიდით თავსა, ამიტომ ვარჩიეთ მოგვეწვია საეკკლესიო გალობის მცოდნე მღვდელი კისის-ხევისა იოსებ ჩიკვაიძე, რომელიც ახლა 78 წლის მოხუცია და რომელსაც უსწავლია გალობა ჯერ დავით გარესჯის მონასტერში და შემდეგ ნათლის-მცემლის უდაბნოში, დაწყებული 1831 წლიდგან 1837 წლამდი. დღესაც ამ პატივცემულს მოხუცს ხმა კარგად აქვს შენახული. იგი 14 წლისა მიუბარებიათ დავით გარესჯის მონასტერში, სადაც წინამძღვრად ყოფილა თეოფანე არხიმანდრიტი, გვარად მაჩაბელი. მონასტერში ყოფილა მუდამ ორი გუნდი მგალობელთა მღვდელ-მონაზონთა დიდის გერონტისა და პატარა გერონტის ლოტბარობით. გალობა ყოფილა კანანარხით. აქედგან გადაუყვანიათ მამა იოსები ნათლის-მცემლის უდაბნოში, სადაც წინამძღვრად ყოფილა არხიმანდრიტი სოფრონი, გვარად ერისთავი, რომელიც აღზრდილა გელათის მონასტერში და რომელსაც საუკეთესოდ სცოდნია გალობა. თვით არხიმანდრიტი ყოფილა მასწავლებელი იმ 23—26 მოსწავლისა, რომელნიც აქ ყოფილან მიბარებულნი: მამა იოსებს ჰყავს ძმა მედავითნე სოლომონი, რომელსაც გალობა თვისის ძმისაგან და სხვა მგალობელთაგან უსწავლია. ბანის მოქმედებად მოწვეულნი იყვნენ იგივე წიკლაური, მღვდელი ნიკოლოზ ჯაჯანიძე და დიაკონი ვასილ მაისურაძე. იკრიბებოდნენ ბ-ნ შიო შიუკაშვილის სახლში, სადაც თვით ბ-ნი შიუკაშვილი და მისი მეუღლე დიდის გულმოდგინებით ხელს უწყობდნენ საქმეს. ესწრებოდნენ მღ. ივანე ხატიშვილი, მღ. ივანე მაისურაძე, მღ. ივანე ნარეკლიშვილი და მასწავლებელნი. გასაკვირველი იყო დაუღალავი მუშაობა მოხუცის მ. იოსებისა! დიდის სიამოვნებით ადევნებდა მოხუცი თვალს ბ-ნ კლენოვსკის მარჯვენასა და დიდის გულდადებით ისმენდა თითოეულ ხმას, როცა ბ-ნი კლენოვსკი ნოტებზედ გადაღებულ საგალობელს თვითი იგალობებდა. განსაკუთრებით ბევრი დრო მოუნდა „მეუფეო ზეცათაო“-ს, „რომელი ქერაბიმთა“-ს და „ღირს არს ჭეშმარიტად“-ს. ბეჯითობამ ყველაფერი დაბრკოლება სძლია და 20 ივნისს დასრულდა გადაღება ოქროპირის წირვის საგალობლებისა.

კახეთს რამდენჯერ სწვევია მსურველნი კახურის სიმღერების ნოტებზედ გადაღებისა, რამდენჯერ მოუყრიათ თავი მომღერლებს თელავში თავ. ნ. ჩოლაყაშვილის თაოსნობით, მაგრამ ვერც ერთ სიმღერა ნოტებზედ ისე არ აღუნიშნიათ, რომ მომღერალთაგან ნათქვამსა და დაწერილს შორის დიდი განსხვავება არა ყოფილიყოს. ყოველთვის ეს გარემოება, ვითომ და მცოდნე პირებს, ისე აუხსნიათ ჩვენთვის, რომ ქართული სიმღერა მუსიკალურ კანონებს არ ემორჩილებაო. დღეს ბ. კლენოვსკიმ დაგვარწმუნა თავისის ნამუშევრის ნაყოფით, რომ ქართული სიმღერა და გალობა სრულიად მუსიკალურს კანონებზედ არის აღმოცენებული და ყველანაირი ზომიერება მტკიცედ არის დაცული, ხოლო თავისებური ხასიათი აქვს და ეს თავისებურება მისი ღირსებაა და არა ნაკლულევანება. გამოდის, რომ თურმე თვით იმ მსურველთ არა ჰქონიათ ჯეროვანი მუსიკალური განათლება და გამოცდილება. თურმე ნუ იტყვით, გერმანულ მუსიკალურ განათლებიდგან რუსულ მუსიკამდის და რუსულიდგან ქართულამდის დიდი მანძილია და ვისაც ეს მანძილი არა აქვს გავლილი, იმას კახური სიმღერა-გალობანი არავითარი ჰარმონიის მქონედ არ მიაჩნია. პეტერბურგის ან სხვა კონსერვატორიიდგან პირ-და-პირ სკუპის გაკეთება საქართველოსკენ არ შეძლებულა, თურმე გზა-გზა უნდა მოჰყვეს თითოეული ადგილობრივი გალობა-სიმღერა შეისწავლოს და ამნაირად ჩამოვიდეს საქართველოში, უამისოდ ჩვენის სიმღერა-გალობისას ვერას გაიგებენ. ბ. კლენოვსკი რომ მუსიკალურად ღრმად განათლებულია, მაში ჩვენ ყველანი, ვინც გარს ეხვივენით, დარწმუნებულნი ვართ და რომ მკითხველიც ამაშივე დავარწმუნოთ, აქ მოვიყვან შემდეგს: ბ. კლენოვსკიმ სთქვა, რომ ქართულის გალობა სიმღერის ნაკლულევანება მარტო მეორე და მესამე ხმაშია და განსაკუთრებით უკანასკნელშიო. მოძახილსა და ბანს განსაკუთრებით, დამოუკიდებელი ხასიათი არა აქვთ და ეს მომღერალ მგალობელთა ბრალი უნდა იყოსო. მოძახილი ხან დამოუკიდებლად მოქმედებს და ხან-კი პირველს მისდევსო. ბანი-კი მუდამ ეძებს პირველს და ამ ძებნაში ბევრს ტყუისო: მე მოძახილს და ბანს თავ-თავის ადგილს გავუჩენ, დამოუკიდებლად შევიქმ და ამით მარტო ჰარმონია გაუკეთესდებაო. ამას გარდა მე მეოთხე ხმასაც მოვუმატებო და ნახავთ, რომ უკეთესობის მეტი არაფერი განსხვავება არ იქმნებაო და სწორედ ის იქმნება, რაც უნდა იყოს ნამდვილადაო. ნიმუშად დაწერა „უფალო შეგვიწყალე“ ოთხხმაზედ და მართლა საუკეთესო

---

ორიოდ წამი და მატარებელი სადგურსაც მიადგება: ბაქანზედ დახვდება წითელ-ქუდიანი უფროსი და, დაინახავს თუ არა დათიკოს, მხიარულად გაუღიმებს და შემოსძახებს: „მომილოცავს, მომილოცავსო!“ ის, რასაკვირველია, ჯერ მადლობას გადაუხდის, მერე-კი გაიქცევა ტელეგრაფიი კანტორაში და დეპეშით აცნობებს ამ ამბავს ანიკოს, რომელიც სიხარულისაგან ატაცებულის გულის ძგერით და მშვენიერ თვალებზედ მომდგარის ცრემლებით, მამას ყელზედ მოეხვევა და თავისს გაბედნიერებას ახარებს... შორს ეჭვებო და შავო ფიქრებო!

აი სადგურიც. გაისმის ზარის წკარუნი. ორთქლ-მავალი დინჯად, მძიმედ ჩაუვლის ბაქანს და ჩერდება. აი იქ, მატარებლის თავში მოჩანს წითელი ქუდი სადგურის უფროსისა, რომელიც სვეტს მიჰყუდებია და ვიღაცას ელაპარაკება. ნეტავი რა პასუხს მიიღებს მისგან დღეს დათიკო? ნუ-თუ ისეთსავე გულ-დასაწყვეტს, როგორც წინაზედ?..

ახალგაზდა კონდუქტორი საშინელის გულის ძგერით გადმოხტა მატარებლიდგან და პირდაპირ უფროსისკენ გაეშურა.

— გამარჯობა! —მიესალმა უფროსი დათიკოს, როდესაც უკანასკნელი ქუდ-მოხდილი მის წინ გაჩერდა.— იცი, რა გითხრა, ძმაო?.. სულით და გულით მინდა დაგეხმარო, მაგრამ... რომ არა ხერხდება რა, რა გიყო? აი წაიკითხე. ამ სიტყვებზედ მან ამოიღო ჯიბიდგან წერილი, გადასცა კონდუქტორს და შემდეგ ისევ განაგრძო შეწყვეტილი ბაასი უცნობ კაცთან.

უთუოდ დედისაგან არის, —იფიქრა ყმაწვილმა კაცმა, —ვნახოთ რას იწერება!.. ის მივიდა ფარანთან, ათრთოლებულის ხელებით გახსნა ბარათი და დაიწყო კითხვა: „ბ-ნო უფროსო, ტყუილად ნუ სწუხდებით და ნუ სცდილობთ დათიკო უგვაროშვილისათვის: ის კანონიერს მეტრიკას თავისს დღეშიაც ვერ იშოვის, რადგანაც უკანონო შვილია, ეს ისე ნამდვილია, როგორც ისა, რომ თქვენ ს-ის სადგურის უფროსი ბრძანდებით“. ბარათი ხელ-მოუწერელი იყო.

საბრალო კონდუქტორს მკვდრის ფერი დაედო სახეზედ და შეამჩნია, რომ გული თან-და-თან მისდის და საცაა უნდა წაიქცეს... ის ინსტიქტიურად მიეყრდნო ფარნის სვეტს, თავიდგან ქუდი მოიგლიჯა და მოისვა ხელი შუბლზედ, რომელზედაც სიმწარის ოფლი ცვარ-ცვარად დასდგომოდა... საიდგანღაც დროზედ მოჭრილი ღამის გრილი ნიავი მოხვდა სახეში და რამდენადმე სული მოუბრუნა. პირველი აზრი, რომელიც ამ დროს მოუვიდა თავში, ის იყო რომ ახლა ყველასათვის ყბად ასაღებ, სასაცილო, თავ ლაფ დასხმულ არსებად გავხდიო, რომ სულ ყველას აქ, სადგურში მყოფთ, უფროსიდგან დაწყებული მეისრემდე და ბუფეტის ლაქიამდე, შეტყობილი აქვს ჩემი ვინაობა და ყველანი დამცინიანო. ის გაშორდა ფარნის შუქით განათებულს ადგილს და მთვრალივით, ბარბაცით გაეშურა იმ მხრისაკენ, რომელსაც სინათლე არ სწვდებოდა და იქ სიბნელეში მიეყუდა სვეტს და მიეცა მწარე, უნუგეშო ფიქრებს...

რა გამოეტირა, რას გამოსთხოვებოდა სამუდამოდ, რისთვის მიეცა უპირატესობა თავისს მწუხარებაში, მას ვერ გაერჩია: ყველაფერი ერთ-ნაირად დაღუპული იყო მისთვის, ყველაფერი განწირულების, სრულის უიმედობის წყვდიადს მოეცვა... ახალგაზდობის ძალ-ღონე, მომავალზედ ზრუნვა და ფიქრი, ამდენის ხნის დაუღალავი შრომა, ჭაპან-წყვეტა—ყოველივე გაცუდდა, წაერთო მნიშვნელობა, გაქარწყლდა, როგორც უაზრო და უმიზნო რამ... რისთვის ან ვისთვის უნდა ეცხოვრა ამის შემდეგ, რისთვის ან ვისთვის უნდა გაეტარებინა სიმწარითა და ოფლის ღვრით თავისი ყმაწვილ-კაცობა, თუ კი წინ მიზანი არ სჩანდა?—დაღუპული სიყვარული, პატივ-ახდილი გათახსირებული სახელი, საზოგადოების ზიზღი და დაცინვა,—აი, რა მოელის წინ, აი მისი უნუგეშო მომავლის შინაარსი? განა ღირს ამისათვის გარჯა, შრომა, სიცოცხლე? არა, ათასჯერ არა!.. „მაშ... სიკვდილი სჯობია, არარაობა, როცა არას გრძნობ, არა გესმის-რა, არას ხედავ“? იმან აიღო თავი მაღლა და შეხედა მოციმციმე ურიცხვ ვარსკვლავებს და ვერცხლის-ფრად მოელვარე პირ-სავსე მთვარეს, რომელიც დიადად მისცურავდა ცაზედ,—და ხელი უიმედოდ ძირს დაიქნია „ეე, ანათონ... ეს მე არ მეხება! დასტკბენ იმათის ცქერით ჩემზედ უბედნიერესნი, —დაჩაგრულთ გულის მოსაოხებლად, სჩანს, ისინი არ გაჩენილან... დედა? დედა როგორ-ღა გადურჩება ამ მწუხარებას?.. საბრალო, კაცთ-სიავისაგან დაჩაგრული არსება! რამდენი ხანი ატარა საცოდავმა ეს საიდუმლო თავისს გულის სიღრმეში, ჩუმად სტიროდა, ჩუმად იტანჯებოდა... ზევით მხოლოდ ზეცა იყო მოწამე იმის სულის წამება-ვაებისა და ძირს მე, პატარა ბალღი, რომელსაც არაფერის გაგება არ მქონდა.. შემდეგ რომ მაინც გაემჟღავნებინა ჩემთვის, როდესაც დავმოწიფულდი... ან-კი რა საჭირო იყო, რისთვის? ასე სჯობია! ანიკო რაღას იტყვის?—ცრემლებს გადმოღვრის მშვენიერ თვალთაგან, ცოტა ხანს იმწუხარებს და ბოლოს მოურიგდება თავისს ბედს, ვინ იცის, იქნება კიდეც მალე გათხოვდეს... ეჰ, კმარა. რა დროს ფიქრი და ყოყმანია!.. ახლავე ზარას ჩამორეკენ და მატარებელიც დაიძვრის.. უნდა მოვემზადო“...

ჩრდილ-ჩრდილ, შეუმჩნევლად გაძვრა ის ვაგონებს შუა და გაჩნდა მატარებლის მეორე მხარეს. აქ მან მიიხედ-მოიხედა: არსად სულდგმული არ ჰაჭანებდა. შემდეგ ქუდი შორს გადისროლა, გამოისახა პირჯვარი, გაწვა მიწაზედ, დაადო კისერი ლიანდაგის რკინას ვაგონის თვლებ შუა და დახუჭა თვალი... აი გაისმა ზარის წკრიალა ხმა, ორთქლ-მავალის სტვენა და მატარებელიც დაიძრა... წამის უკან გიჟურის სისწრაფით უდარდელად მიჰქროდა ის ქვემო იმერეთის დაცემულს ვერცხლით დაფერილს ჭალებზედ, გარბოდა გრიალით ბოგირებსა და ხიდებზედ, მაღლა-კი მოკაშკაშებულ ცაზედ იმავ დიადის გულ-დინჯობით მიდიოდა მთვარე და ცივად დასცქეროდა ქვეყნის სიხარულსაცა და ტანჯვა-ვაებასაც...

დიმ. ერისთავი.

რამ აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ პირველი ხმის შეუცვლელად ჩვენი სიმღერა-გალობანი ოთხ ხმაზედ იმღერ-იგალობებიან, რაც არაფერს არა სცვლის, წვრილმანებით ისევ ის არის, ხოლო უკეთესად ნათქვამი. ბ. კლენოვსკის შრომამ დაგვარწმუნა, რომ იგი ჩვენ ქართველობისათვის ჯერ უბადლოა, ამიტომ ვისაც-კი ხელი მიუწვდება, უნდა ყოველის ღონის-ძიებით ეცადოს, რაც შეიძლება სავსებით გადაალებინოს ქართული სიმღერა-გალობანი. 21 ს ტფილისს მიდის, იქიდგან 23-ს საზღვარ გარეთ გაემგზავრება, მაგრამ პირველ ენკენისთვიდგან ისევ ტფილისს დაბრუნდება. თუმცა დაგვპირდა ენკენისთვეში რამდენიმე დღით მოსვლას, მაგრამ შეიძლება გარემოებამ ხელი არ შეუწყოს, და ვერ მოვიდეს, ამ შემთხვევაში უნდა მოხერხდეს, რომ იქ—ტფილისში, მივუყვანოთ მომღერლები. თუ კახეთმა ეს ვერ მოახერხა, თავის მიძინებულ მდგომარეობის გამო, ქართლმა და იმერეთმა არ უნდა დაკარგონ შემთხვევა და უნდა უკუდავჰყონ იქაური სიმღერა-გალობანი.

ბ. კლენოვსკი გადაღებულს წირვის გალობას შეიმუშავებს საზღვარ გარეთიდგან დაბრუნებული და აპირებს გამოცემას ორ-ნაირად: ერთ გამოცემას მხედრულად ექმნება მოწერილი საგალობელი და მეორეს რუსულად. იგი დარწმუნებულია, რომ ქართულ ხმებს რუსეთის საუკეთესო მგალობელთა გუნდი იგალობებს. ქართული ხმები გაამდიდრებენ რუსულ საეკკლესიო გალობასაო.

ბ. კლენოვსკის აზრით საზოგადოდ ჩვენს სასწავლებლებში გალობის სწავლება ისეა დაყენებული, რომ ამ წესით სწავლებას არა დროს ნაყოფიერი ბოლო არ ექმნება. ახლანდელის წესით სწავლების უფროსი ნაკლულევანება ის არის, რომ ახლად მოსწავლე ბავშვს გალობის სწავლებას ნოტებით აწყებინებენო. ნოტების სიმრავლე, მათი მრავალგვარი მნიშვნელობა სხვა-და-სხვა ხაზზედ ბავშვის გონებისათვის მოუნელებელი მასალა არის. ვერც ერთი ბავშვი ვერ შეითვისებს ნოტებს და თუ დიდის ბეჯითობის, მრავალგვარის წვალების შემდეგ შეითვისა, იცოდეთ, გონებით-კი არა აქვს შეთვისებულის ყურითა აქვსო. ამნაირად შეთვისებული ბავშვს მუსიკალურ მოსაზრებას არ უვითარებს, მარტო ყურთა სმენა არის ვარჯიშობაში და ეს უკანონო გზაა მუსიკალურად განათლებისათვისაო. ერთად-ერთი წესი პირველად ბავშვის სწავლებისა ციფრების წესია. აქ ბავშვს გააცნობს შვიდს ნიშანს და ამ შვიდი ნიშნით ბავშვი ადვილად მიჰხვდება გალობა-სიმღერის სწავლებას. ეს შვიდი ნიშანი პირ-და-პირ გონებაზედ მოქმედებენ და ბავშვის მუსიკალურს მოსაზრებას აძლევენ საზრდოსაო. როცა ბავშვი შეიგნებს შვიდი ნიშნით გალობა-სიმღერის სწავლებას, მაშინ შეიძლება გააცნონ ნოტებიო. თუ ამ გზით ასწავლით, იცოდეთ, ყველანი ისევე მცოდნენი იქმნებიან გალობა-სიმღერისა, როგორც წერა-კითხვის სწავლების შემდეგაო. აქ მეტად მცირე მნიშვნელობა ექმნება ხმის ავ-კარგიანობას და იქნება, ვისაც ხმა სრულებით არ უვარგა, მისი მუსიკალური მოსაზრება უფრო განვითარებული იქმნას, ეს უფრო მეტად განათლებულად ჩაითვალოს მუსიკალურადაო. ახლანდელი წესით სწავლება $5^0/_0$ ვერ იძლევა მუსიკალურად განათლებულისას, მაშინ როდესაც შვიდი ნიშნის წესით სწავლება $100^0/_0$ მოგვცემსო. შვიდი ნიშნით სწავლება გალობა-სიმღერებისა შემოუღია საფრანგეთში გამოჩენილს პედაგოგს მგალობელს ჰამონ შევიეს. ამასაც თხუთმეტი წელიწადი უომნია კომპოზიტორებთან, მანამ გაიმარჯვებდა და მთელს საფრანგეთში დამყარდებოდა დაწყებითი სწავლება შვიდი ნიშნითა.

მართლა და ჩვენი სასულიერო და საერო სასწავლებლები მეტად მცირე ცოდნას აძლევენ გალობა სიმღერისას. თუ როგორმე ბავშვს ან ხმის ორგანო აქვს დაზიანებული, ან სმენისა, ახლანდელის სისტემით სწავლება სრულიად გალობა-სიმღერის უვიცად სტოვებს ბავშვსა. ასე აღზრდილი ბავშვი მოკლებულია ერთს დარგს უაღრესის სიამოვნებისას და განსაკუთრებით მოკლებულია ერთს საუკეთესო საშუალებას თვისის სულის მღელვარებისა და მისწრაფების გამოხატვისას. მისი „ადამიანური“ ადამიანობა სრული არ არის და-სხვა და-სხვა.

გარდა ამისა გალობა-სიმღერა, სხვათა შორის, ერთი სრული თავისებურების ნიშანია ხალხოსნობისა. ეს ის „სერია“, რომლითაც ერთი მოდგმა ხალხისა მეორისაგან განირჩევა; ეს ის სერია, რომელიც ბორნეოს მცხოვრებლს ბორნეოსაკენ უზამს ხოლმე პირს და სანდვიჩევის მცხოვრებლს სანდვიჩევისაკენ, რაც უნდა უკეთესი სიმღერა-გალობანი გააგონონ ლონდონში და პარისში; ეს ის სერია, რომელიც ადამიანს მოიყვანს თავის-და-უნებურად ალტაცებაში. ყველა ამ სერის თვისებათა მიუხედავად დადგება ხოლმე იმისთანა უკუღმართი დრო რომელსამე ხალხის ცხოვრებაში, როცა უძლეველნი თვისებანი მძლეთა - მძლე უკუღმართობისაგან იჩაგრებიან და იბლალვიან. ეს უკუღმართობაა მთავარი მიზეზი, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ზურგ შექცევით არის ჩვენს სიმღერა-გალობაზედ და მაგიერად დღე და ღამ, დროზედ და უდროვოდ გაიძახის — „ეს ოხერი ციება ძნელად მოსარჩენია“, ან კიდევ „ჰკირიმე, შენი ჰკირიმე, სულის ჰკირიმე, გულის ჰკირიმე, თავის ჰკირიმე, მკლავის ჰკირიმე“ და სხვა-და-სხვა. აი, ამისთანა სიმღერები-ღა გვესმის შინ და გარედ ჩვენის მოზარდ თაობისაგან. რასაკვირველია, არ არის შორს ის დრო, როცა საყოველთაო სენად გარდაიქცევა და აღარც ერთი არ გვეყოლება ქართულის სიმღერა-გალობის მცოდნე. დღესაც სიმღერის მცოდნენი სანთლით საძებარნი არიან. მთელს კახეთში სულ ათი პირი აღარ იქმნება, რომელთაც იცოდნენ კანონიერად ქართული სიმღერები. მაშ, დროა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ქართული სიმღერები უკვდავ-ვყოთ. ჩემის აზრით ბ. ნ კლენოვსკის ნიჭით, რაც შეიძლება, მალე და სავსებით უნდა ვისარგებლოთ.

ი.

## რუსეთის ცხოვრება.

ამ დღეებში სრულიად დამთავრდა ფინანსთა სამინისტროს ახალი დადგენილება, თუ რა რიგზედ და წესზედ უნდა იხადოს თვისი გარდასახადი ფაბრიკებში და ქარხნებში მომუშავემ. დადგენილების პირველის მუხლის ძალით—მუშას, რომელსაც აწევს სახელმწიფო ან რაიმე სხვა გარდასახადი, მუშაობაში აღებულ ქირიდგან მხოლოდ ერთი მესამედი უნდა გამოერიცხოს, თუ მარტო ხელია და თუ ცოლ-შვილიანი ერთი მეოთხედი.

—

იურიევრის უნივერსიტეტის მმართველობას განუზრახავს დააარსოს სამეურნეო განყოფილება, სადაც სტუდენტებს პრაქტიკულად ასწავლიან მეურნეობას. საჭირო მამულს უნივერსიტეტი იჯარით იღებს ერთის მემამულესაგან.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუდის მრავალი ცნობა აღმოსავლეთისა და სამხრეთ რუსეთის გუბერნიებიდან, რომლიდანაც ჩანს, რომ იქ ძლიერ ცუდს მოსავალს მოელიან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

„მოსკოვის უწყებები“-ს ტფილისელ კორესპონდენტს მიზანში ამოუღია სომხები, სომხეთი და სომხური პოლიტიკა. უკანასკნელს წერილში (23 ივნ. № 170) კორესპონდენტს მოჰყავს კათალიკოსის სიტყვა თქმული პეტერბურგში და ასე მუსაიფობს:

„ჰაირიკ, გვითხარ, მრთელ არს სამშობლო ჩვენი, სომხეთი, ცოცხალ არიან იმისნი შვილნი? ვიცი, თქვენს შორისაც არიან მცირედ მორწმუნენი, რომელთაც სრულიად დაჰკარგვიათ იმედი,—სომხეთი დაღუპული ჰგონიათ, ან დასაღუპად გამზადებული. მაგრამ გაუწყებთ, რომ სომხეთი ისევ ცოცხალია და ცოცხლად დარჩება. მართალია, სომხეთმა ბევრი რამ დაჰკარგა, მაგრამ წყალობითა ღვთისათა აგერ 4000 წელია, რაც ძენი მისნი კვლავ არსებობენ. დიაღ, სომხეთი დღეს ცოცხალია, მაშინ როდესაც მის მეზობლად მცხოვრებნი ერნი, მიდიელნი და ასურელნი დიდიხანია აღიხოცნენ პირისაგან მიწისა, განჰქრნენ და დღეს მათი სახელი მხოლოდ ისტორიაში-ღა დარჩენილა, ისტორიას-ღა ახსოვს ისინი. თქვენ კარგად იცით, რომ სომხეთი ორს სახელმწიფოსა აქვს გაყოფილი და სხვ. და სხვ“.

„ვფიქრობდი, ამბობს წერილების ავტორი, რუსეთის მწერლობა მიაქცევდა ყურადღებას ამ სიტყვებს და მოითხოვდა, თუ რა ჰნებავდა ამით ეთქვა კათალიკოსსაო. ჩვენ-კი ეს სიტყვები მიგვაჩნია ისეთისავე აზრის, როგორიც არის შესამჩნევი პოლონელთა რევოლიუციონური სიმღერა: „კვლავ აღსდგება პოლონეთი“ და სხვ. რისთვის ვუკრძალავთ პოლონელთ ამ სიმღერას და ნებას ვაძლევთ კათალიკოსს ესეთის სიტყვების თქმისას ეკკლესიის კათედრიდგან? კარგად რომ დავუკვირდეთ ამ სიტყვებს, გამოვიყვანთ შემდეგს დასკვნას: „ჩვენ, რუსნი, ვითარცა მიდიელნი და ასსურელნი, გავქრებით დედამიწის ზურგიდგან და დავუთმობთ ალაგს სომხებს, რომელნიც არხეინად განაგრძობენ თავიანთს არსებობას!

„მაგრამ ერთი ვიკითხოთ: სად არიან ან ვინ არიან ეს სომხები? სად არის სომხეთი? მთელს დედამიწის ზურგზედ ჯერ არავის შეუთხზავს ისეთი გეოგრაფია, სადაც „სომხეთი“ მოხსენებული იყოს სახელმწიფოდ! ჩვენმა გლეხებმა, ვსთქვათ, იციან, რომ არსებობენ „ვირმიანები“, რომელნიც ყოველს რუსეთის ქალაქებში ვაჭრობენ, მაგრამ რომ ეს ხალხად იწოდებოდეს, პირველად გვესმის. კათალიკოსი ჰქადაგებს, სომხეთი ორ სახელმწიფოს შორის გაყოფილიაო. ალბად ისტორია დამავიწყდა, მახსოვს-კი პოლონეთის გაყოფა მოხსენებულია ყოველ წიგნებში და სომხეთზედ რა მოგახსენოთო“... მე მაინც არ ვერწმუნე ჩემის ისტორიის ცოდნას და დავეკითხე ტფილისელ მოხუცს სომხებს! ზოგმა ევრე მიპასუხა: სადაც ორი-სამი სომეხია, სომხეთი იქ არისო! ეს რომ ასე იყოს, მაშინ პეტერბურღი და მოსკოვიც სომხეთის სატახტო ქალაქები ყოფილა! ზოგმა-კი ასე მითხრა: სომხეთი შეიცავს ტფილისის, განჯის, ერევნისა და ყარსის გუბერნიებსაო! როგორ მოგწონთ ეს თქვენ? ავიღოთ ახლა სტატისტიკური ცნობები: ტფილისის გუბერნიაში მკვიდრი მცხოვრებია 833,474, აქედგან სომხები მხოლოდ 196,086, განჯისაში 793,969, სომხები 290,155, ერევნისაში 670,400 მკვიდრი და სომხები-კი 369,649, ყარსის ოლქში 200,868 მკვიდრი და 50,000 სომეხი. მაშასადამე, აქედგან ის გამოდის, რომ უმეტესი, თითქმის სამი მეოთხედი, მცხოვრები სხვა ხალხია და სომხები-კი უმცირესი... სადღაა ეს სომხეთი? სად არის ის დიდებული სომხეთი, რომელზედაც კათალიკოსი ქადაგებს?

„დრო არისო,—ამბობს ავტორი,— ჩვენმა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება სომხების ამგვარს თავ-გასულობას, თორემ ჩვენ, რუსებს, ტფილისში საქმეს გვიჭირებენ და მალე თავზედ დაგვაჯდებიანო“.

## სამელიორაციო კრედიტის გამო.

საკრედიტო დაწესებულებანი უნგრეთში, როგორც ყველგან ევროპაში, თუმცა სანატრელს მდგომარეობაში არიან, მაგრამ, სახარების სიტყვის არ იყოს: ვისაც აქვს, ემატებოდესო, უნგარნიც არ ჯერდებიან იმას, რაცა აქვთ და თან-და-თან უფრო-და-უფრო მიისწრაფიან წარმატების გზაზედ. ამ ჟამად არსდება იქ, მთავრობის დახმარებით, სააქციონერო საადგილ-მამულო საკრედიტო ბანკი, რომელსაც აზრად ექმნება მიწათ-მოქმედების გაუმჯობესება. კაპიტალი მისი იქნება 24 მილლიონი კრონი. ამ ბანკს ის კი არა აქვს სახეში, რომ წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი მოსპოს, არამედ ამათის შუამდგომლობით დაეხმაროს, აღმოუჩინოს საშუალება მიწათ-მომქმედებს. სამიწათ-მოქმედო სამელიორაციო საქმეები, როგორც მაგალითად არხების გაყვანა, ტბების დაშრობა, დრენაჟი, ტყის გაშენება და სხ. და სხ. ცალკე მემამულესთვის შეუძლებელია, და ხსენებულ ბანკსა აქვს მიზნად შეაერთოს მიწათ-მომქმედები, საერთო გახადოს სამეურნეო წარმოება. ეს შეერთება, კოოპერაცია, დღეს აგრეთვე საჭირო შეიქმნა მეურნეობაში. როგორც საქარხნო მრეწველობაში, ხსენებულის ბანკის საგანი ფილოქსერისაგან დაზიანებულ ვენახების აღდგენა და განახლებაა.

სასურველია, რომ ჩვენმა საკრედიტო დაწესებულებებმაც ყურადღება მიაქციონ ჩვენის მიწათ-მოქმედების გაუმჯობესებას. ყველამ უწყის, რომ ჩვენი სამიწათ-მოქმედო წარმოება ისევ ძველის-ძველის, ეგვიპტურის იარაღებით ხდება, რომ მრავალი ადგილ-მამული ურწყავი გვირჩება, მრავალი ტბებისა და ჭაობის გამო გამოუდეგარია, რომ ყველაფრისაგან, რისიც მოყვანა და წარმოება შეიძლება ჩვენში, ჩვენის სამხრეთის ჰავისა და მდიდარ ბუნების გამო, ჩვენ არ ვსარგებლობთ, რომ თუ ასე გულ-ხელდაკრეფილნი დავუწყეთ მზერა ჩვენს ეკონომიურს მიმდინარეობას, ჩვენს ქვეყანას საშინელი მდგომარეობა მოელის ფილოქსერისაგან, რომ ამ მწერმა თითქმის უკვე გაანადგურა მთელი იმერეთი და ყველა ამის წამლად, საშუალებად სამელიორაციო კრედიტი უთუოდ გამოგვადგება.

## ბიბლიოგრაფია.

**О типѣ сельскохозяйственной школы для Тифлисской губерніи.** ამ წერილის ავტორები—თავ. ი. ანდრონიკაშვილი და ა. ფირალოვი—თავ-და პირველად ხსნიან, რამდენად ესაჭიროება ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას სამეურნეო სწავლის გავრცელება. ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენი სიმდიდრე და ჩვენი დღევანდელი განძი მიწა არის, მიწათ-მოქმედება ბურჯია ჩვენის ეკონომიურის კეთილდღეობისა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მიწათ-მოქმედება ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. აუცილებლად საჭიროა უმთავრესი ყურადღება მეურნეობას მიექცეს. დღეს მეურნეობა ძლიერ ნაკლებ სარგებლობას იძლევა, შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს მრავალ მოთხოვნილებათა და არა რჩება-რა მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მეურნეობიდან სარგებლობის გაძლიერებისათვის უპირველესი „საშუალებაა მიწის შემუშავების წეს-რიგის გაუმჯობესება და სატეხნიკო სწავლის გავრცელება.“ სოფელში მრავალი ყმაწვილთა, რომელნიც არავითარს სწავლას არ იღებენ, ბევრია ისეთიც, რომელთ სასწავლებელი ვერ დაუმთავრებიათ, აი ამ ყმაწვილებს უნდა მიეცეს საშუალება ცხოვრებისათვის ვამოსადეგ ცოდნის მიღებისა, ხოლო მათთვის ყველაზედ უფრო გამოსადეგი სამეურნეო ცოდნა იქნება. შემდეგ ავტორები ვრცლად მოგვითხრობენ, თუ რა დანიშნულებას ასრულებენ, ან არ სწავლას იძლევიან მეურნეობის უმაღლესი, საშუალო და დაბალი სასწავლებლები. მათის აზრით ჩვენთვის ძლიერ კარგი იქნებოდა უმაღლესის სასწავლებლის დაარსება, მაგრამ რადგანაც თავად-აზნაურობას საკმაო საშუალება არა აქვს და რადგანაც საშუალო სასწავლებელი ძლიერ შეეფერება ჩვენს მეურნეობას, ამისთვის ავტორები საშუალო სასწავლებლის დაარსებას არჩევენ. სასწავლებელი უნდა შესდგეს: 1) მოსამზადებელ კლასებიდგან, 2) ოთხკლასიანი რეალურ სასწავლებლიდგან და 3) სპეციალურ კლასებიდგან პრაქტიკულისა და თეორეტიულის სამეურნეო ცოდნა-მეცნიერებისა. სასწავლებელში მიიღებიან 11-12 წლის ყმაწვილები. მოსამზადებელ კლასებში და რეალურ ოთხ წლის კლასებში ისწავლიან შემდეგ საგნებს: საღმრთო სჯული, ქართული, რუსული, ფრანგული და გერმანული ენები; მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა და ზოოლოგია; ისტორია, გეოგრაფია, ხაზვა და ხატვა. სპეციალური განყოფილებაც ოთხ კლასებიდგან შედგება, რომლებშიაც, ბუნების მეტყველების გარდა, ყმაწვილებმა უნდა შეისწავლონ: მიწათ-მოქმედება, ტყის მოვლა-გაშენება, ბაღოსნობა, მევენახეობა და ღვინის კეთება, პირუტყვის მოვლა და სამეურნეო ეკონომია; გარდა ამისა: სამეურნეო მეხანიკა, სამეურნეო არხიტექტურა, გეოდეზია და ბეითალობა. მოსამზადებელი კლასი და რეალური განყოფილება ქალაქში უნდა მოთავსდეს (უფრო იაფად დაჯ-

დება), ხოლო სამეურნეო განყოფილება სოფლად უნდა იქნეს, სადაც სასწავლებელმა თვისი მამული უნდა იქონიოს პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის. პროექტის შემადგენელთა გამოანგარიშებით სასწავლებლის შენახვა დაახლოვებით დაჯდება წელიწადში 21,600 მანეთი.

—

Раціональное воспитаніе табачной разсады, Е. А. Чубкова. ეს პატარა წიგნაკი ტფილისის სამეურნეო საზოგადოებისაგან არის გამოცემული. სულ 25 გვერდია და შეიცავს დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუაროთ თუთუნის ნერგს. შინაარსი წიგნაკისა:

როგორს ადგილზედ უნდა გაზარდოთ და რამდენად ხშირად ანუ თხლად უნდა იყოს დანერგილი ნერგი, როგორ და რამდენად უნდა გათოხნოთ, როგორს კვლებზედ უნდა დათესოთ თესლი, როგორი პატივი უნდა, რაგვარად უნდა იცვლებოდეს ნერგის გასაზრდელი ადგილი, როგორ უნდა მოამზადოთ თესლი, როგორ და რა დროს უნდა დათესოთ, როგორ უნდა მოუაროთ შემდეგ კვლებს, როგორ უნდა მორწყოთ ნერგი, როგორ უნდა გამარგლოთ, აპატიოთ; არის აგრეთვე აღნიშნული, რა თვისებისა უნდა იყოს ნერგი, რომ გადასარგავად ივარგოს და კარგი გამოდგეს, და აღწერილი სხვა-და-სხვა ავადმყოფობადა წამლობა თუთუნის ნერგისა.

—

Сбытъ Кавказскихъ винъ (Закавказье), აგრონომის ს. ნ. ტიმოფეევის გამოკვლევა ძლიერ საყურადღებო საგანს შეეხება, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ცნობას ამოვიწერთ. წიგნის შინაარსი შემდეგია: რამდენი ადგილი უჭირავს ვენახს კავკასიაში; წლიურად რამდენი ღვინო მოდის; ღვინის დაყენების ტეხნიკა საქართველოში; სხვა-და-სხვა ადგილის ღვინის ღირსება და ფასი; შუამავალი მყიდველნი ღვინისა (ჩარჩები); საშუალება ღვინის გავრცელებისა და ღირებულობა ღვინის გაზიდვისა კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქებში; სად რამდენი ღვინო გააქვთ გასასყიდათ; არაყის ხდა; ტფილისი და რუსეთი, როგორც ღვინის ბაზარი; დასკვნა.

ჩრდილო კავკასიაში 12,482 დესიატინა ადგილი უკავია ვენახს და 1.401.600 ვედრო ღვინო მოჰყავთ; ამიერ-კავკასიაში ვენახს უჭირავს 101,905 დეს. და ღვინო მოჰყავთ 11,065,540 ვედრო, რომლიდგან ქუთაისის გუბერნიას მოჰყავს 4.846.100 ვედრო, ტფილისისას 4.700.000 ვედრო. რუსეთის სხვა ადგილებთა შორის კავკასიას უჭირავს უპირველესი ადგილი ღვინის მოყვანის საქმეში. უმეტესი ნაწილი ღვინისა აქვე კავკასიაში ისყიდება, ცოტა მიდის რუსეთში და საზღვარ გარეთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 ივნისი.

**პეტერბურგი.** 27 ივნისი. აბისინიის დესპანებმა ვიზიტი გაუკეთეს საიმპერატორო სახლის სამინისტროს მმართველს, შინაგან საქმისა, ფინანსთა, სამართლო საქმეთა და საგზაო მინისტრთ, ვიზიტი გაუკეთეს აგრეთვე სამხედრო სამინისტროს დროებით მმართველს, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორსა, მისს ამხანაგს, აზიის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორსა და საფრანგეთის ელჩს.

**ვარშავა.** ლომჟის გუბერნიის ქალაქი ზამბროვი დაიწვა. 230 სახლი დაიწვა, 2000 კაცი უსახლ-კაროდ დარჩა.

**პარიზი,** 26 ივნისი. რადიკალმა ბროდემ წინადადება შეიტანა პარლამენტში, რომლითაც სთხოვა მთავრობას, რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოლაპარაკება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამუდამო სამედიატორო სამართლის დაარსების ტრაქტატის შესახებ. პარლამენტმა გარდასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს აღძრულ წინადადების შესახებ კენჭის ყრას, რომლის შემდგომაც წინადადება მიღებულ იქმნა.

**ბელგრადი,** 26 ივნისი. კაბინეტი სავსებით შესდგა. მინისტრები მეფეს წარუდგნენ.

ოსმალეთის მთავრობის მოხელეთ უსკუბში ბოლგარიის აგიტატორი ტოშანოვი შეიპყრეს.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ც. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა,
ბ. მ. მირიმანიანისა,
რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.
Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—17)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | |
| მალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |

ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარ სარჩელს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—„)

# კელლერის ფხვნილი მწერთათვის

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

ამ თხუთმეტის წლის წინად ეგრედ წოდებული „სპარსული“, ხოლო ნამდვილად **„კავკასიური“** გვირილა (დაფქული კავკასიის მთებზედ მოსულ გვირილის ორ გვარ ყვავილისაგან) ცნობილი იყო როგორც საუკეთესო და ნამდვილი საშუალება ყოველგვარ მწერთა წინააღმდეგ სახმარებლად.

ამისა გამო ხსენებული ფხვნილი აუარებელი გაჰქონდათ ყველა ქვეყნებში, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებმა თვითვე არ წაახდინეს იგი სხვა-და-სხვა ყვავილების შერევითა და მთლად არ დასცეს იქაურ გვირილით ვაჭრობა ძირს, ისე რომ რუსეთმაც-კი შემდეგ **„დალმატური“** გვირილის ხმარება ამჯობინა, თუმცა ეს უკანასკნელი ბევრით უკან ჩამოუვარდება ძალით **ნამდვილს** „კავკასიის გვირილს“.

ამ რიგად **კავკასიის გვირილის** ნაცვლად უცხოეთიდგან გამოგვაქვს **დალმატური გვირილა** და პირველი-კი თითქმის ყველამ დაივიწყა.

რომ კვლავ აღვადგინა ღირსება და ნდობა ჩვენის მამულის ნაწარმოებისა, 1892 წელს ჩვენ დავაარსეთ კავკასიაში საკუთარი სააგენტო, ქ. ალექსანდროპოლში, რათა ხსენებულმა სააგენტომ აღევნოს თვალი კავკასიაში ამ მცენარის კულტურას და საუკეთესო ჯიშის გვირილა იყიდოს ხოლმე ადგილობრივ გლეხებისაგან **პირველ ყვავილობის დროს** და უფრო-კი **„არაგაცის“** მთის კალთებზედ.

შემდეგ ყვავილები ჩვენს ფაბრიკებშივე იფქვის მოსკოვში და ამიტომ, რასაკვირველია, უმჯობესია მოითხოვოთ ხოლმე წარწერა ამხანაგობისა რ. კელლერ და ამხ., როგორც თავდები საქონლის ღირსებათა.

ვ. უ. ფაბრ.-ვაჭრ. ამხან-ბა რ. კელლერ და ამხან., მოსკოვში.

(2—16—1).

დაზღვევის საზოგადოება

# „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წვრილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—„)


Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Іюня 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედ.-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.